ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № „181“

„27“ 06, 2014 წელი

დაბა ჩაქვი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 3, პუნქტი 1, „ს“ ქვეპუნქტი) და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს (მუხლი 3, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი) შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „შემსყიდველი“), აპარატის უფროსის რამაზ ბოლქვაძის სახით ერთი მხრივ და შ.პ.ს. „ჯეო ივენთ“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის მინდობილი პირის თემურ ზოიძის სახით (პირადი ნომერი 61001012794, მინდობილობა დამოწმებული სანოტარო წესით, ნოტარიუსი: ნინო ბადაგაძე, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 140367786, რეგისტრაციის თარიღი: 15.04.2014 წელი. მინდობილობის ასლი თან ერთვის ხელშეკრულებას) მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აშშ-ს კონგრესის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით თარჯიმნის ფუნქციების განხორციელება, თარჯიმნის მომსახურება – **CPV კოდი: 79500000.**

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აშშ-ს კონგრესის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით უზრუნველყოს თარჯიმნის (ინგლისურენოვანი) ფუნქციების განხორციელება (შემდგომში „მომსახურება“), ხოლო „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „მომსახურება“ და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და ღირებულება

2.1. შესასყიდი მომსახურების გაწევა მოხდება **2014 წლის 28 ივნისს** „შემსყიდველის“ (კოორდინატორის) მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნისთანავე.

2.2. შესრულებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ ელექტრონული სახით წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე შემსყიდველის მიერ თანხმობის მიცემის, დადასტურების შემდეგ.

2.3. შესასყიდი მომსახურების ერთეულის ფასი, ერთი დღით თარჯიმნის მომსახურების ღირებულება შეადგენს **250 (ორას ორმოცდაათი)** ლარს.

2.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **250 (ორას ორმოცდაათი)** ლარს.

2.5. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს. კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ლარში, ფაქტობრივად შესრულებული და მიღებული მომსახურების გათვალისწინებით, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღების შემდეგ, ათი სამუშაო დღის ვადაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

ა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში უზრუნველყოს თარჯიმნის ფუნქციების განხორციელება;

ბ) უზრუნველყოს შესასყიდი მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

დ) მთელი მის ხელთ არსებული საშუალებებით გასცეს საჭირო განმარტებანი, დაადასტუროს თარგმანის ავთენტიკურობა და ხარისხი, თუ ამაზე წარმოიშვა რაიმე პრეტენზია ან კამათი უფლებამოსილ პირთა მხრიდან.

4.2. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას გაწეული მომსახურების ხარისხზე და თარგმანის ავთენტიკურობაზე.

4.3. **„მიმწოდებელს“ უფლება აქვს** მოითხოვოს ფაქტობრივად შესრულებული და ჩაბარებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

4.4. **„შემსყიდველი“ ვალდებულია** მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

4.5. **„შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში თარჯიმნის ფუნქციების განხორციელება;

ბ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ შესასყიდი მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლის (კოორდინატორის) მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რაც გულისხმობს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

7.2. ხელშეკრულება მოქმედებს **2014 წლის 10 აგვისტომდე.**

8. ზოგადი დებულებები

8.1. ხელშეკრულების პირობებში გადახრა ან ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. შესასყიდი მომსახურების ფასი ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით.

8.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულების მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს.

8.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, ანგარიშსწორების ნაწილში საბოლოო ანგარიშსწორებამდე.

8.9. მხარეები თანხმდებიან, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება „ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავათა განხილვის წესი

მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სახაზინო სამსახური
სახაზინო ანგარიშის №GE88LB0121162303587000
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
მიმღების ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

აპარატის უფროსი

_____ რ. ბოლქვაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ჯეო ივენთ"

მის.: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №105/107, ბ-34
ანგარიშის №GE20 TB79 9703 6020 1000 04
საიდენტიფიკაციო კოდი: 445440363
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორის მინდობილი პირი

_____ თ. ზოიძე

მინდობილობა

ქალაქი ბათუმი, ორი ათას თოთხმეტი წლის თხუთმეტი აპრილი

მე, შპს „ჯეო ივენთ"-ის (რეგისტრირებული 28/03/2014წ., საიდენტიფიკაციო N445440363, იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N105/107, ბინა N34) დირექტორი მზია აბულაძე, დაბადებული 21.10.1956წ., მცხოვრები ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N105/107, ბინა N34, პირადი N61001000208, ბატონ თემურ ზოიძეს, დაბადებული 05.01.1957წ., მცხოვრები ბათუმი, გენ.გ.მაზნიაშვილის ქუჩა N46, პირადი N61001012794, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

ა)საზოგადოების სახელზე ნებისმიერ ბანკში გახსნილ ყველა ანგარიშზე, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, ყოველ სერვის ცენტრსა და განყოფილებაში აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია, გახსნას და/ან დახუროს ანგარიშები, გამოიტანოს, შეიტანოს და/ან გადარიცხოს თანხები, მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია, მიიღოს ამონაწერები, ინფორმაცია საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ, ისარგებლოს დისტანციური მომსახურებით (გააქტიურების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების უფლებით), მათ შორის ინტერნეტ ბანკინგით;

ბ)წარმოადგინოს საზოგადოება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მისი მმართველობის სფეროში მოქმედ ცენტრებსა და განყოფილებებში, შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე, მოახდინოს დოკუმენტების წარდგენა, მიღება, შეიძინოს, შეცვალოს და/ან მიიღოს საკონტროლო-სალარო აპარატები, უზრუნველყოს რეგისტრაცია, მომსახურების მიღება და სხვ.,

გ)დადოს (შეიტანოს ცვლილებები, გააუქმოს) შრომითი ხელშეკრულებები, კომერციული გარიგებები და უზრუნველყოს მათი შესრულება, შეიძინოს ყველა სახის საქონელი, მოახდინოს საქონლის (ტვირთის) მიღება, ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის წარმოება (საქონლის გაფორმება, დეკლარირება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, შევსება, მიღება, სატარიფო ღირებულების გადახდა და სხვ.), ტრანსპორტირება, განახორციელოს რეალიზაცია სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში გააფორმოს საზოგადოების სახელზე, მიიღოს რეგისტრაციის ნომერი და მოწმობა, მოახდინოს ანგარიშსწორება, გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი დანიშნულებისამებრ;

დ)საზოგადოების სახელით მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, აუქციონებში, პროგრამების განხორციელებაში.

ზემოთაღნიშნულის შესასრულებლად იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღოს და წარადგინოს ცნობები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტაციას და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებული იქნება მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მიმნდობი:

შპს „ჯეო ივენთ"-ის სახელით:

დირექტორი:---მზია---აბულაძე---------------------